



## აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

### საინფორმაციო ბიულეტენი #8

მარტი, 2021

შუახევის მუნიციპალიტეტში სოფელი გომარდული ზღვის დონიდან 1150 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. სოფელს პოტენციური აქვს გახდეს მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრი. ადგილმდებარეობისა და ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, სოფელი ზამთარისა და ზაფხულის ტურისტულ ცენტრად განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

აჭარის რეგიონის ოთხ სეზონურ საკურორტო ზონად განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის სრულად რეალიზაციის მიზნით, არაერთი კვლევითი პროექტი განხორციელდა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დაფინანსების ფარგლებში.

გამართული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების არსებობა, სოფლის მოსახლეობის სოფელში დარჩენის საფუძველია. ასევე, ეს არის ნებისმიერი ინვესტიციის განხორციელების წინაპირობა. ამჟამად სოფელ გომარდულსა და მასთან მოსაზღვრე სოფლებში: სხეფი, სხეფელა, თერნალი, წანკალაური, ბარათული და ღორექეთი, წყალარინების სისტემები არ არსებობს. წყალმომარაგების სისტემები ინდივიდუალურია და ოჯახების მიერაა მოწყობილი, მცირე ზომის წყაროების მეშვეობით. სოფლის ერთ-ერთი მაცხოვრებლის თანახმად: „სოფელში წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები თითქმის არ არსებობს. წყალარინების სისტემასთან დაკავშირებით, ხდება პირდაპირი ჩადინება ყოველგვარი განმედიის გარეშე. სოფელში წყლის დიდი დეფიციტია, მაგალითად ეხლა ზამთრის ბოლოს. გაზაფხულის დასაწყისში, ძირითადად წვიმაზე ვართ დამოკიდებული. მოსახლეობა წვიმის წყალს აგროვებს და საყოფაცხოვრებო საქმიანობებისთვის იყენებს, ხოლო სასმელად გადაადგულებს იღებს. თუ წვიმიანი პერიოდი დიდხანს გრძელდება, წყაროებიდან წყალი შესაძლოა საკმარისი იყოს მეზობლებისთვისაც“.

„აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას დიდი მნიშვნელობა აქვს გომარდულისთვის, რადგან გომარდული საკურორტო ზონაა. სტუმრების მისაღებად, წყალმომარაგებისა და წყალარინების გამართული სისტემების არსებობა მნიშვნელოვანია. პროგრამა ხელს შეუწყობს სოფელი ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავიდეს. ამ ეტაპისთვის სოფელში 10-12 ოჯახი საოჯახო ტიპის სასტუმროს ფლობს, თუმცა წყალთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ბიზნესის წარმოება ძალიან რთულია. მჯერა, წყლის სისტემის არსებობის შემთხვევაში, სოფელში საოჯახო სასტუმროს ყველა მოაწყობს“.

„სოფლისთვის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მოწყობა თანაბრად მნიშვნელოვანია. მაგალითად, ფეკალური მასების პირდაპირი ჩადინება ბუნებაში იწვევს ბუჩუბის, მწერების და არასასიამოვნო სუნის წარმოქმნას. უფროსებისთვის გასაგებია რომ გარკვეულ ტერიტორიებზე გასვლა ამის გამო არ შეიძლება, მაგრამ ბავშვებისთვის მსგავსი ადგილები შეიძლება სახიფათო იყოს, სათამაშოდ რომ გავიდე. შეიძლება მწერმაც გადაიტანოს დაბინძურება“.

სოფელ გომარდულის მოსახლეობა, აქტიურ მონაწილეობას იღებს სოციალური და ტექნიკური საკითხების განხილვაში. „მაგალითად, ეხლა სოფლის რწმუნებულები ვმუშაობთ მიწის რეგისტრაციის საკითხებზე. სოფლის თითოეულ მოსახლესთან ფიზიკურად გვიწევს შეხვედრა. არც ერთ მოსახლეს არ განუცხადებია უარი პროგრამაზე, პირიქით მოსახლეობა ელოდება როდის დაიწყება ფიზიკური სამუშაოები სოფლებში“.



### ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩამხვევით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge



## AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAMME

### NEWSLETTER N8

MARCH, 2021

The village Gomarduli is located at an altitude of 1150m above Sea level in the municipality of Shuakhevi. It has a great potential and could become an important tourism center. Due to the location and the natural conditions, the area can offer in summer and winter tourism potential. The project envisages the organization of professional sports training centers, which may host sports events.

With the aim to help develop the Ajara region into a four –season- resort area and realize the tourism potential of the region, several research projects, in the frame of the program financed locally as well as internationally, were implemented.

The availability of properly functioning water supply and wastewater systems is the basis for the village inhabitants to stay in the village. It is also the prerequisite for the implementation of any investment. Currently there are no wastewater systems in the village Gomarduli and the villages in its vicinity-Skhepi, Skhepela, Ternali, Tsankalauri, Baratauli and Goreketi. Water supply is organized individually in an improvised manner from small springs in the territories. As one of the village dwellers said: „There are almost no systems for water supply and wastewater. What regards wastewater, the effluent is directly discharged untreated to the nature. There is a big shortage of water in the village, for example now, at the end of winter. In the beginning of spring, we mainly depend on rain. People collect rainwater, which they use for household activities while they boil it for drinking purposes. If rainy days last for long, water from the springs might be sufficient for the inhabitants in the neighborhood.”

“The Ajara Rural Water Supply and Wastewater Program has a big value for Gomarduli as Gomarduli is a resort zone; in order to receive visitors, water and proper wastewater systems are very important. This program will make the village to enter into the new phase of life. 10-12 families own family type hotels, however, due to water related problems, operation of the business is very difficult. I believe in case there is water, everybody will operate their family hotels.”

„Water supply and wastewater systems are equally important for the village. For example, direct discharge of wastewater results in flies, insects and production of odor. Adults can understand that some areas cannot be accessed by them, while these sites can be dangerous for kids who can go there to play games; insects also can spread infection.”

The population of the village Gomarduli actively participates in the program, discussing technical and social issues. “For example, at this stage we, rstmunebulis (The city hall representative of the village) of the village, are working of the land registration process. We have to arrange face-to-face meetings with every citizen. Not a single person opposed the program; on the contrary, people are waiting for commencement of the program and the start of physical works in the villages.”



### GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

“Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme–Ajara” is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara. “Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme–Ajara” is being implemented by the JSC “Ajara Water Alliance”.

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme “Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme–Ajara” is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.